

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი (IV)



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი

პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1125 საათი); 6 თვე

თეორიული სწავლება 60 % - 27 კრედიტი (675 საათი)

პრაქტიკული სწავლება 40% - 18 კრედიტი (450 საათი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი ან აღიარებული აქვს ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროგრამა და დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს შემდგომ საფეხურზე გადასასვლელი გამოცდები.

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი ვეტერინარული მომსახურების სპეციალობაში, რომელიც შეძლებს ვეტერინარული საქმიანობის წარმოებას სავეტერინარო ნორმატიული აქტების გამოიყენებით; მკურნალობის პროცესში ცხოველებისა და ფრინველების ზოგადი მდგომარეობის ცვლილებათა ინდიკატორების განსაზღვრას; ჩაატარებს ცხოველებისა და ფრინველების მკურნალობის პროცედურებს; პირველადი ვეტერინარული დახმარების წარმოებას; სამკურნალწამლო საშუალებების სწორად შერჩევას.

სწავლის შედეგი:

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი IV საფეხური

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: <ul style="list-style-type: none">• სავეტერინარო ნორმატიული აქტების გამოიყენებით ვეტერინარული საქმიანობის წარმოება;• ცხოველის ფიქსაციისა და ტრანსპორტირების წესების განსაზღვრა;• ვეტერინარული მომსახურების საზღაურის გადახდის მეთოდები და დაზღვევის პროცედურები;• ცხოველებისა და ფრინველების ფსიქოლოგია და წარმატებით შეუძლია გამოიყენოს ამ კუთხით მიღებული ცოდნა შემდგომი პრაქტიკული საქმიანობისათვის;• ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობისა და პროფილაქტიკური
------------------------------	--

	ლონისძიებების გატარება;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მკურნალობის პროცესში განსაზღვროს ცხოველებისა და ფრინველების ზოგადი მდგომარეობის ცვლილებათა ინდიკატორები; • ჩაატაროს ცხოველებისა და ფრინველების მკურნალობის პროცედურები და დაგეგმოს მკურნალობა და პროფილაქტიკური საქმიანობა ლიცენზირებული ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ; • მოამზადოს ვეტერინარიული მომსახურებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტები, დანადგარები და მასალები; • აწარმოოს პირველადი ვეტერინარიული დახმარება; • სწორად შეარჩიოს სამკურნალო საშუალებები, განსაზღვროს ორგანიზმში მათი შეყვანის გზები ცხოველებისა და ფრინველების ორგანიზმის თავისებურებათა გათვალისწინებით და განახორციელოს შესაბამისი პროცედურები;
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოახდინოს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება; • სხვადასხვა სახის ვეტერინარიული პროცედურების ჩატარების შემთხვევაში მოახდინოს გატარებულ ღონისძიებათა მონიტორინგი; • მიღებული შედეგების მიხედვით წარმოაჩინოს პრობლემები და მის მოსაგვარებლად განსაზღვროს ალტერნატიული გზები;
კომუნიკაციის უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აწარმოოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია და საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები კვალიფიციურად წარმოაჩინოს; • მისდამი დაქვემდებარებულ ჯგუფთან შეუძლია წარმატებული კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე. შეუძლია წარმატებით გამოიყენოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები;
სწავლის უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად ახალი ცოდნის მიღებას და შემდგომი სწავლის განსაზღვრას; • წარმატებით გაუზიაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვას; • სწავლის სწორად დაგეგმვას შესასწავლი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • იცავს და უფრო ხილდება ვეტერინარიის ღირსებას; • გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა; • პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე მინდომილი საქმის პროფესიულ დონეზე შესრულებას; • არაპროგნოზირებლად სიტუაციებშიც მკაცრად იცავს ვეტერინარიული საქმიანობის წესებს და კანონებს;

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- დამოუკიდებელ სამუშაოს
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა

- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუდენტს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეხუთე საფეხურზე.